ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 74

20 დეკემბერი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიებთან ერთად

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- - გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა

ქონების მართვის სააგენტო -გიორგი გვენეტაძე; თამარ ურუშაძე

მუნიციპალური ინსპექცია- ლევან ჯღარკავა.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.**№12-0319339117-03 05.12.2019)**
2. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. **№12-031933974-03 05.12.2019)**

3. ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, #24-ში (საკ/კოდი: #01.19.33.002.060.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.**№12-03193311-03 27.11.2019)**
4. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი,იოსებ გრიშაშვილის ქუჩა #49-ში(საკ/კოდი: #01.20.01.001.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.**№12-03193311-03 27.11.2019)**

5. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა #7-ში(საკ/კოდი: #01.15.07.003.101.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.№12-03193311-03 27.11.2019)

6. ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა #16-ში(საკ/კოდი: #01.17.09.007.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.№12-03193311-03 27.11.2019)

7. ქალაქ თბილისში, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძის #10ა-ში(საკ/კოდი: #01.19.23.009.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.№12-03193311-03 27.11.2019)

8. ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ #10, #18ა და #20-ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.17.10.002.317) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.№12-03193331-03 29.11.2019)

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმება.(**საკრებულოს** №12-031933720-03 03.12.2019)

10. შპს „სასათბურე მეურნეობის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნონერი #100306573) განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების თაობაზე.(**საკრებულოს** №12-031934046-03 06.12.2019)

11. ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.002) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

12. „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ: 01008005543) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" . (**საკრებულოს** №12-031935252-03 19.12.2019)

13. ქ. თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზება.(**საკრებულოს** №12-031935339-03 19.12.2019)

14. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს** №12-031935252-03 19.12.2019)

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ.(**საკრებულოს** №14-0319335360-03 19.12.2019)

16. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.(**საკრებულოს №14-0319335360-03 19.12.2019**)

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.(**საკრებულოს №14-0319335360-03 19.12.2019**)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებს, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, წარმოდგენილი დღის წესრიგიდან ამოეღოთ მე-10 და მე-12 საკითხი. კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი რედაქციით.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.**№12-0319339117-03** 05.12.2019)

2. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. **№12-031933974-03 05.12.2019)**

3. ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, #24-ში (საკ/კოდი: #01.19.33.002.060.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.**№12-03193311-03** 27.11.2019)

4. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი,იოსებ გრიშაშვილის ქუჩა #49-ში(საკ/კოდი: #01.20.01.001.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.**№12-03193311-03** 27.11.2019)

5. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა #7-ში(საკ/კოდი: #01.15.07.003.101.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.**№12-03193311-03 27.11.2019)**

6. ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა #16-ში(საკ/კოდი: #01.17.09.007.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.**№12-03193311-03 27.11.2019)**

7. ქალაქ თბილისში, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძის #10ა-ში(საკ/კოდი: #01.19.23.009.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.**№12-03193311-03 27.11.2019)**

8. ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ #10, #18ა და #20-ა კორპუსებს შორის არესბული 233 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.17.10.002.317) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.**№12-03193331-03 29.11.2019)**

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმება.(**საკრებულოს №12-031933720-03 03.12.2019**)

10. ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.002) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.(**საკრებულოს №12-031935252-03 19.12.2019**)

11. „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ: 01008005543) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე". (**საკრებულოს №12-031935252-03 19.12.2019**)

12. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-031935252-03 19.12.2019**)

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ.(**საკრებულოს №14-0319335360-03 19.12.2019**)

14. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.(**საკრებულოს №14-0319335360-03 19.12.2019**)

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.(**საკრებულოს №14-0319335360-03 19.12.2019**)

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი კომისიების წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია, მიმდინარე წელს ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მისაღები შემოსულობების გადაჭარბებით შესრულებით, რაც ითვალისწინებს ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში არაფინანსური აქტივების კლების გეგმის 5 976,9 ათასი ლარით გაზრდას. ასევე, წარმოდგენილი პროექტით მცირდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტების გეგმა 360,9 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 5 616,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 106 066,8 ათასი ლარის ოდენობით.

ასევე, ცვლილების პროექტში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული

ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 55 000,0 ათასი ლარით; სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) – 1 500,0 ათასი ლარით; საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 2 800,0 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 15,3 ათასი ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) – 6 800,0 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 706,6 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 26,0 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 18,3 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 52,7 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 48,1 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 66,2 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება მთწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 31,0 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 1 752,9 ათასი ლარით; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) – 3 800,0 ათასი ლარით; გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) – 800,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 144,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 105,5 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 54,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 23,7 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 82,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 28,2 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 52,8 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 600,0 ათასი ლარით; ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) – 16 000,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 5 123,0 ათასი ლარით; ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) – 360,9 ათასი ლარით; თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) – 44,0 ათასი ლარით; შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) – 14,3 ათასი ლარით; სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) – 10,0 ათასი ლარით; საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) – 246,2 ათასი ლარით; ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – 25,6 ათასი ლარით; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება (კოდი 04 12) – 2 916,5 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში

(კოდი 05 01 08) – 7,9 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 42,6 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 158,4 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 16,8 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 49,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 43,8 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) – 17,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 23,7 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 39,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 83,5 ათასი ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 6 000,0 ათასი ლარით; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 1 725,0 ათასი ლარით; უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) – 49,0 ათასი ლარით; სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 47,0 ათასი ლარით; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 639,9 ათასი ლარი; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 1,9 ათასი ლარით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 08 11 05) – 4,0 ათასი ლარით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 15,3 ათასი ლარით; თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09 01) – 1 460,0 ათასი ლარით; მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 1 272,7 ათასი ლარი; ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 32,4 ათასი ლარით; ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 34,9 ათასი ლარით; სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 102,5 ათასი ლარით; ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) (კოდი 10 42) – 1 789,4 ათასი ლარით; თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) – 110,9 ათასი ლარით.

გარდა ამისა, იზრდება ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 1 ერთეულით. ასევე, ასახულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების (კოდი 01 02 01) ქვეპროგრამის, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის და ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებების პროექტს.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ლევან ჯღარკავა.

წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის:

ა) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, თუ სამუშაოების წარმოებისათვის გამოყენებული ტერიტორია არ არის მოყვანილი პირვანდელ მდგომარეობაში ან/და არასათანადოდ არის აღდგენილი, დამრღვევს დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრება ვადა, არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა. ცვლილებით აღნიშნული ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული დღით.

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტს ემატება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში აღდგენილი ასფალტბეტონიანის საფარის ჯდენის ან სხვა სახის ხარვეზის გამოვლენისას სამუშაოები დაწყებულ უნდა იქნეს შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა და დასრულდეს, სამუშაოების დაწყებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

გ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში და სამუშაობის მწარმოებელს ეკისრება ვალდებულება აღადგინოს სამუშაოების წარმოებისათვის გამოყენებული ტერიტორიაზე საფარი ან/და მოიყვანოს იგი პირვანდელ მდგომარეობაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისთვის შეტყობინებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო თუ სამუშაოთა სირთულის გამო ამ ვადაში შეუძლებელია აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას წარუდგინოს მოტივირებული შეტყობინება (წერილობით ან ელექტრონული ფორსტის საშუალებით) სამუშაოების დამატებით, არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარულ დღეში განხორციელების შესახებ.

დ) ამასთან, ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, სამუშაოების მწარმოებელს ეკისრება ვალდებულება ავარიის/გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, სამუშაოს დასრულების თაობაზე წერილობითი ინფორმაცია მიაწოდოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.

რაც შეეხება დადგენილების ამოქმედებას, იგი ძალაში შევა 2020 წლის 1 თებერვლიდან. აღნიშნული ვადა აღებულ იქნა შესაბამის კომპანიებთან კონსულტაციის შედეგად, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყოს პროცესების დაგეგმვა აღნიშნული პროექტის შესაბამისად.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი ქონების განკარგვის საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა **გიორგი გვენეტაძემ.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, #24-ში (საკ/კოდი: #01.19.33.002.060.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მოქალაქე ავთანდილ ბეგლარაშვილს სიმბოლურ ფასად გადაეცემა ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, #24-ში მდებარე 53,08 კვმ ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად ცხოვრობს 1956 წლიდან.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვ
რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი,იოსებ გრიშაშვილის ქუჩა #49-ში(საკ/კო
#01.20.01.001.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

დაბა წყნეთი,იოსებ გრიშაშვილის ქუჩა #49-ში(საკ/კოდი: #01.20.01.001.009) მდებარე უძრავი ქონება საერთო ჯამში 395,47 კვმ, აქედან 157,52 კვმ სარდაფი გადაეცემა 4 ოჯახს, რომლებთაც დიდი ხნის განმავლობაში ფაქტობრივ სარგებლობაში აქვთ ეს ფართები.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა #7-ში(საკ/კოდი: #01.15.07.003.101.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა #7-ში მდებარე 90,26 კვმ ფართი გადაეცემა სიმბოლურ ფასად მარინე გაბროშვილს.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა #16-ში(საკ/კოდი: #01.17.09.007.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა #16-ში მდებარე საერთო ჯამში 507,08 კვმ ფართი გადაეცემა 11 ოჯახს სიმბოლურ ფასად.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძის #10ა-ში(საკ/კოდი: #01.19.23.009.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

აღნიშნულ მისამართზე საერთო ჯამში 566,37 კვმ ფართი სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა 9 ოჯახს. ეს ოჯახები ცხოვრობენ და სარგებლობენ აღნიშნული ფართებით 1991-1994-1998 წლებიდან.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინოს: ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ #10, #18ა და #20-ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.17.10.002.317) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრებაში გადაეცემა, ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ, №10, №18ა და №20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ეკლესიის დამხმარე ნაგებობების მშენებლობის მიზნით. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთის განკარგვა, დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარების გარეშე. უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა: საპრივატიზებო საფასური - სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ხოლო გადაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს მხოლოდ მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების შემთხვევაში.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმება.

სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრებაში გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10 (ათ) ტონამდე მოძრავი ქონება (ამორტიზებული რკინის მასალა), რომელსაც გამოიყენებენ საგურამოს წმ. ილია მართლის და დიდუბის ლომისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიების ღობის მოსაწყობად. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული №007765019 დასკვნის მიხედვით ამორტიზებული რკინის მასალა არის შავი ლითონი და 1 ტონის დაახლოებითი ღირებულება შეადგენს 450 ლარს. მოძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.002) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

„ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ის მე-2 სართულზე (ნიშნული +3.30) მდებარე 77.90 კვ.მ. ფართობის №2 ბინა (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა ჯემალ ჭკუასელსა (პ/ნ: 01007000898) და გიული ჭკუასელს (პ/ნ: 01007006250), სანაცვლოდ, მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ.თბილისში, ყიფშიძის ქ.#5, კორპუსი „ბ" I ბლოკი(67,60 კვმ ფართი (მშენებარე) გადმოეცემა თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ: 01008005543) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"

ი/მ მანანა პრუსეცკის გადაეცემა ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 2025 წლის 01 იანვრამდე. აღნიშნული პირი საკუთრების უფლებით ფლობს ქ. თბილისში, რკინის რიგის ქ. #5-ში მდებარე ფართებს (ს/კ: #01.18.03.061.031.01.506; #01.18.03.061.031.01.507)

სააგენტოში წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 7 ოქტომბრის №60-01192802319 წერილობითი ინფორმაციით (რეგისტრ. №17-01192802909-61), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 11.07.19წ. გადაწყვეტილებით (დოკუმენტი №4580169) დადებითი შეფასება მიეცა 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის რეკომენდაციით, სამსახურმა სასურველად მიიჩნია მაგიდების განთავსება მხოლოდ ერთ რიგად, შენობასთან. განკარგულების პროექტით განიხილება ი/მ მანანა პრუსეცკისთვის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა 2025 წლის 1 იანვრამდე, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 5100 (ხუთი ათას ასი) ლარის ოდენობით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ ჭუბაბრიას გადაეცემა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.14.04.008.341) იჯარით, ღია კაფეს მოსაწყობად, ხუთი წლის ვადით. აღნიშნული პირი, საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (ს/კ: 01.14.04.008.004).

სააგენტოში წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.06.19წ. №60-01191623537 (რეგისტრ. №15-0119163111-61) წერილის თანახმად სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი მიწის წიის ნაკვეთის იჯარით განკარგვა, იმ პირობით, თუ დაცული იქნება „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 35–ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები. განკარგულების პროექტით განიხილება მარიამ ჭუბაბრიასთვის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხუთი წლით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 7800 (შვიდი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ოთარ გიგოლიამ. მან აღნიშნა, რომ ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N395 განკარგულება და რეგლამენტის შესაბამისად დასამტკიცებლად წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულების პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასყვანად, დაწესებულია წლიური სახელფასო ლიმიტი შემდეგი ოდენობით: ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 60 000 (სამოციათასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარი). იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე, ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი იზრდება 1300 (ერთიათასსამასი) ლარით და ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი განისზღვრება შესაბამისი პროპორციით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, შრომის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების ორგანიზებისთვის, დამსაქმებელს, რომელსაც ჰყავს 100 ან მეტი დასაქმებული, ვალდებულია ჰყავდეს მინიმუმ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია განისაზღვრება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ერთერთი მოადგილის (აპარატის უფროსის მოადგილე) ფუნქციად. გარდა ამისა, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ფუნქციად განისაზღვრება შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წინა საკითხიდან გამომდინარე ცვლილება შედის საშტატო ნუსხაში

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს რეკომენდაცია გაეწიოს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია